

დამტკიცებულია: ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“
აღმასრულებელი საბჭოს 12.01.2018 წლის გადაწყვეტილებით

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმის კომიტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის (შემდგომში „ასოციაცია“) მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“) წარმოადგენს ასოციაციის მუდმივმოქმედ ორგანოს.
- 1.2. კომიტეტი შექმნილია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 15.1 მუხლის „წ“ პუნქტისა და¹ მუხლის შესაბამისად.
- 1.3. კომიტეტის საქმიანობის წესს (დებულებას) ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.
- 1.4. კომიტეტი შექმნილია უვადოდ, უფლებამოსილებას იწყებს წინამდებარე დებულების დამტკიცებისთანავე.

მუხლი 2. კომიტეტის საქმიანობის მიზანი

კომიტეტის მიზანია ადვოკატთა კორპუსის ჩართულობის ხელშეწყობა დამოუკიდებელი და ხარისხიანი მართლმსაჯულების მისაღწევად.

მუხლი 3. კომიტეტის ამოცანები და საქმიანობა

3.1. კომიტეტის ამოცანებია:

- 3.1.1. ქვეყანაში მიმდინარე მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის პროცესში ადვოკატთა კორპუსის ჩართულობისა და მონაწილეობის გაძლიერება.
- 3.1.2. საკანონმდებლო და მარეგულირებელი მხარდაჭერის უზრუნველყოფის ხელშეწყობა სამართლის უზენაესობის დამკვიდრებისა და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისათვის.
- 3.1.3. სამართლის უზენაესობის დამკვიდრების და მართლმსაჯულების რეფორმების პროცესში სხვადასხვა იურიდიული პროფესიების და ინსტიტუტების: სასამართლოს, ადვოკატურის, პროკურატურის, ნოტარიატის, აღმასრულებლების და სხვა, თანამშრომლობის ფორმატის ჩამოყალიბება, თანამშრომლობა და ძალისხმევის

გაერთიანება.

3.2. თავისი ამოცანების განსახორციელებლად კომიტეტი:

3.2.1. შეიმუშავებს კანონპროექტებს, წინადადებებს, ანგარიშებს და რეკომენდაციებს სამართლის უზენაესობის და მართლმსაჯულების რეფორმების საკითხებზე, რომელსაც წარუდგენს ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატს.

3.2.2. ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, თანამშრომლობს სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუციებთან და მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ კოალიციებთან, საელჩოებთან და დიპლომატიის სხვა წარმომადგენლებთან.

3.2.3. ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, აწყოფს ფორუმებს, სამუშაო შეხვედრებს და კონფერენციებს.

3.2.4. აღმასრულებელი საბჭოსათვის შეიმუშავებს საჯარო განცხადებების პროექტებს კომიტეტის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3.2.5. აანალიზებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და ატარებს კვლევებს.

მუხლი 4. კომიტეტის შემადგენლობა

4.1. კომიტეტი შედგება არანაკლებ 7 და არაუმეტეს 15 ადვოკატი წევრისაგან.

4.2. კომიტეტს ჰყავს თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს აღმასრულებელი საბჭო.

4.3. კომიტეტის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე აირჩევა კომიტეტის უფლებამოსილების ვადით.

4.4. კომიტეტის დანარჩენ წევრებს ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით.

4.5. კომიტეტის წევრები აირჩევიან 1 წლის ვადით. შესაძლებელია კომისიის წევრის ხელახალი არჩევა.

4.6. კომიტეტის წევრი შეიძლება ვადავდებ იქნას გაწვეული კომიტეტის შემადგენლობიდან აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, კომიტეტის თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე.

4.7. კომიტეტის თავმჯდომარეს უფლება აქვს კომისიაში მოიწვიოს სხვადასხვა დარგის ექსპერტები და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, როგორც სასამართლო სისტემიდან ასევე სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებიდან.

მუხლი 5. კომიტეტის სხდომა

- 5.1. კომიტეტი თავის უფლებამოსილების განხორციელებისას ატარებს სხდომებს, რომლებიც მოიწვევა არანაკლებ თვეში ერთხელ. სხდომის ჩატარების დრო და ადგილი გაისაზღვრება კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.
- 5.2. კომიტეტის სხდომა ასევე შეიძლება მოწვეულ იქნას ასოციაციის თავმჯდომარის ინიციატივით.
- 5.3. კომიტეტის სხდომის მოწვევის ორგანიზაციულ საკითხებს უზრუნველყოფს კომისიის თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე.
- 5.4. კომიტეტის მდივანი სხდომის ჩატარებამდე 3 დღით ადრე კომიტეტის წევრებს ელექტრონული ფოსტით უგზავნის ან ტელეფონით ატყობინებს სხდომის მოწვევის და დღის წესრიგის შესახებ.
- 5.5. კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომიტეტის წევრთა მესამედზე მეტი. კომიტეტის თითოეული წევრი უფლებამოსილია დააყენოს წინადადება სხდომის დღის წესრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
- 5.6. კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ ამ დებულებით სხვა უმრავლესობა არ იქნება დადგენილი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
- 5.7. კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნას ელექტრონული ფოსტით დადასტურებითაც, თუკი კომიტეტის წევრების სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ელექტრონული ფორმით გამოხატავს თანხმობას და ეს აისახება კომისიის სხდომის ოქმში.
- 5.8. კომიტეტის სხდომაზე დგება ოქმი, რომლსაც ადგენს მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე და მდივანი, რაც ადასტურებს საოქმო ჩანაწერის სიზუსტეს.

მუხლი 6. კომიტეტის თავმჯდომარე/თანათავმჯდომარე

- 6.1. კომიტეტის თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს კომიტეტის მუშაობას და უძღვება კომისიის სხდომებს.
- 6.2. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის წინასწარი თანხმობის საფუძველზე, კომიტეტის თავმჯდომარეს აქვს უფლება გააკეთოს საჯარო განცხადებები კომიტეტის საქმიანობასა და კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- 6.3. კომიტეტის თავმჯდომარის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ან და თავად კომიტეტის თავმჯდომარის თხოვნის საფუძველზე კომიტეტის მუშაობას კოორდინირებას უწევს თანათავმჯდომარე.

მუხლი 7. კომიტეტის სამდივნო

- 7.1 კომიტეტის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აპარატი.

7.2. მდივანი, ორგანიზებას უწევს კომიტეტის შეხვედრისა და კომიტეტის სხდომის ოქმის შედგენას და მის ხელმისაწვდომობას დაინერესებული პირებისათვის.

მუხლი 8. კომიტეტის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა

8.1. კომიტეტის წევრები თავის საქმიანობას ახორციელებენ საზოგადოებრივ საწყისებზე.

8.2. კომიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები და მოწვეული ექსპერტები შეიძლება დაფინანსდეს ასოციაციის ბიუჯეტიდან ანდა კომიტეტის მიერ, ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, მოძიებული გრანტის და შემოწირულობის სახსრებიდან.

8.3. კომიტეტისათვის გამოსაყოფი ბიუჯეტის ოდენობას ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო.

8.4. გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიმართულებებს განსაზღვრავს თავად კომიტეტი.

მუხლი 9. დებულების შეცვლა

9.1. წინამდებარე დებულების ცვლილებებსა და დამატებებს, აგრეთვე დებულების ახალ რედაქციას ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

9.2. დებულების ცვლილებებისა და დამატებების ან დებულების ახალი რედაქციის პროექტს ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს კომიტეტის თავმჯდომარე.

მუხლი 10. დებულების მოქმედების ვადა

წინამდებარე დებულება ძალაში აადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების დღიდან და მოქმედებს კომიტეტის საქმიანობის ვადით.